


## მიღებული „ბონუსის“ დღ-ით დაბეგვრა N 11121



- სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 15 მაისისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.

## ანოტაცია

### მიღებული „ბონუსის“ დღგ-ით დაბეგვრა №11121 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიღებული ე.წ. „ბონუსის“ დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საწარმო საქონლის რეალიზაციის მაღალი მაჩვენებლისათვის მომწოდებლისაგან იღებს ე.წ. "ბონუსს". რომლის გადაცემა ხორციელდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორზე გარემოებებზე, როგორიცაა საქონლის შესყიდვების მოცულობა ან/და შესყიდული საქონლის მთლიანი თანხობრივი მაჩვენებელი. ბონუსის გადაცემა ხორციელდება ფულადი თანხების ჩარიცხვით ან ურთიერთჩათვლით.

საწარმომ ე.წ. "ბონუსის" სახით მიღებული შემოსავლები არ ჩათვალია საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების განვების სანაცვლოდ მიღებულ კომპენსაციად და შესაბამისად არ განიხილა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად.

სსკ-ის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების განწევა.

სსკ-ის მე-16-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლოთ (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მომსახურების განწევად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება.

სსკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სარგებლის სახეებისა.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში მიღებული "ბონუსი" წარმოადგენს საწარმოს მიერ მომწოდებელი პირისგან მიღებულ სარგებელს, რაც არ წარმოშობს დღგ-ის ნაწილში საგადასახადო ვალდებულებებს.

შესაბამისად, პირის ქმედება მართლზომიერია და დღგ-ის ნაწილში საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

ამასთან, სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

